

# დირექტორის როლი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში

ქრისტინე კამლაძე, ზინაიდა ბეინაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება (სკოლის მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა მაღლაკელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ქრისტინე კამლაძე

ზინაიდა ბეინაშვილი

10.06.16 ” .

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, რომელიც იკვლევს დირექტორის ჩართულობის შედეგად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცვლილებას ერთ-ერთი სკოლის მაგალითზე.

კვლევითი სამუშაოები გავყავით ორ ნაწილად, პირველ რიგში მოვახდინეთ საკვლევო პრობლემის იდენტიფიცირება, რაც ეხებოდა პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას, ხოლო მომდევნო ეტაპზე დავსახეთ ამ პრობლემის გადაჭრის გზები. ამის მიხედვით კვლევის მიზნად დავისახეთ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა, ხოლო შემდგომში დირექტორის როლის გაზრდა და დაკვირვება, თუ რამდენად შეცვლიდა ამ გარემოების ცვლილება შედეგს.

მონაცემთა შეგროვების პროცესში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ინტერვიუ, ფოკუს - ჯგუფი და ანკეტირება.

კვლევის შედეგების ანალიზმა დაადასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ დირექტორის ჩართულობა დადებითად იმოქმედებდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. შესაბამისად, გამოიკვეთა ქმედითი ინტერვენციების განხორციელების საჭიროება.

კვლევის პროცესში პედაგოგებმა გამოხატეს საკითხით დაინტერესება. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული ინტერვენციების განხორციელების პროცესში, რაც ჩვენი აზრით მათი პროფესიული ზრდისკენ ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

**საკვანძო სიტყვები:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; ინტერვენცია; დირექტორის ჩართულობა.

## Abstract

The present paper stands for the practical research report that examines the advance changes as a result of the head master's involvement in teachers' professional development. The research is based on the example of a particular school.

The whole work of the research consists of two stages. Firstly, we identified the problem concerning the teachers' professional development and afterwards we set solutions to this problem. Accordingly, we focused on the identification of basic obstacles in teachers' professional advancement and then we consider the observation and activation of head master's role. We set current issues as a main aim of the research and examined if this environmental changes would affect the results.

Data collection process stands on both qualitative and quantitative research methods such as interview, focus group and survey.

Research result analysis proved our assumptions about the positive influences of the head master's mediation in teacher's professional development. Consequently, the necessity of an intervention became apparent.

In the process of research, teachers expressed their interest in the subject. They were actively involved in the process of realization of interventions. Thus, we think this was their first step forward in their professional advancement.

Key words: teachers' professional development, intervention, head master's mediation.

## მადლობა

აღნიშნულ პრაქტიკული კვლევის ჩატარების დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გვინდა გადავუხადოთ სსიპ ქალაქ თბილისის მე-14 საჯარო სკოლის ადმინისტრაციას, დაწყებითი სკოლის კათედრის ხელმძღვანელს და თითოეულ პედაგოგს, რომლებმაც ხელი შეგვიწყოვეს კვლევის განხორციელების პროცესში.

ასევე დიდ მადლობას ვუხდეთ ჩვენ ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა მაღლაკელიძეს, კვლევის მიმდინარეობის პროცესში გაწეული კონსულტაციებისთვის და დახმარებისთვის.